„მუშათა გათავისუფლება—მუშათა საქმეა“

ნასკვი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ფასი 2 მან.

№ 44

კვირა 5 ოქტომბერი.

1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა [illegible]ერაში ერთხელ კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიდორე სოფრონის ძე ვარაზაშვილი შვილებითა ით
და ალექსანდრე ოისების ძე წერეთელი აუწყებენ ნა-
ცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ სამშაბათს,
ოქტომბრის 7-ს წმ. ნინოს გიმნაზიის ეკლესიაში გა-
დასდიდ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწ-
ყარი

ვერა წერეთელი-ვარაზაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 11
საათზე. პანაშვიდი 12-ნახევარ საათზე.

დედა-ქალაქი 5 ოქტომბერი

**[illegible]ითქოს და-
სად არის ესნა?** სრულდა დიდი
მსოფლიო ომი,
რომელმაც სავსებით გააშიშვ-
ლა თანამედროვე ბურჟუაზიო-
ული წესწყობილების ირღვები და
სიბინძურე, თითქოს დაიწყო
დიდი საერთაშორისო მიძრაო-
სწვავს და ანადგურებს ჯალა-
თების ბუნაგებს, თითქოს ზო-
გიერთს ქვეყანაში მაინც სო-
ციალისტები განაგებენ ცხოვრე-
ბას, მაგრამ თვით სოციალიზ-
მის საკითხი არც თუ აგრე რი-
გად ჰპოულობს განხილველ-
ბას. რატომ ხდება ასე? ეგებ
მართლაც ობიექტიური პირო-
ბები იყოს ისეთი, რომ სოცია-
ლისტურ მოძრაობას ხელს უშ-
ლიდეს? რასაკვირველია, რო-
დესაც სიკვდილ-სიცოცხლის
ბრძოლა იწყება ბურჟუაზიასა
და პროლეტარიატს შორის,
პირველი ყოველგვარ ღონეს
იხმარს, რომ მეორე კვლავ მო-
ნობის უღელ ქვეშ დასტოვოს
და ამისათვის საშუალებას არ
დაზოგავს; იგი ობიექტიურ პი-
რობებსაც მოიგონებს, სიმართ-
ლეზედაც დაიწყებს საუბარს
და სხვ. ხოლო არსებითი ეს
არ არის. არსებითი ის არის,
რომ პროლეტარიატის ხელმძ-
ღვანელობას ჰკისრულობენ პო-
ლიტიკური სოციალისტური
ჯგუფები, რომლებიც მშრო-
მელ ხალხს ეუბნევიან: „მომე-
ცი ხმა, მომანიჭე ძალა-უფლე-
ბა და მე გაგაბედნერებო“, და
ბევრის თვალში ახალ წესწყო-
ბილებას ისეთი ჯადოსნური
გამოხატულება ეძლევა, თით-
ქოს უჩინ-მაჩინის ქუდივით იგი
ახალი ელემენტებით აავსებს
ცხოვრებას. ეს ჯგუფები მუშა-
თა კლასს ავიწყებენ პირდაპირ
დანიშნულებას, ითრევენ პო-
ლიტიკური ბრძოლის ჭაობში,
აღვიძებენ და აღიზიანებენ მას-
ში ძალა-უფლების სიყვარულს
და ყოველივე ამას თავისი მე
უფლების გამტკიცებისაგან მიმარ-
თავენ. მშრომელ ხალხს დიდი
ისტორიული მისია აქვს დაკი-
სრებული; მან უნდა იხსნას
თავი თვისი მონობისაგან და
გაითავისუფლოს ადამიანის პი-
როვნება. და თუ ეს მისია მას
ჩაბოძორდეს პოლიტიკურ ჯგუ-
ფებს და საკუთარ კლასობრივ
მოქმედებას შეუდგეს, რომ სა-
ძირკველი ჩაუყაროს კომუნის-
ტურ წესწყობილებას.

ძველი ვზით.

2.

პირველ წერილში ჩვენ ავღნიშ-
ნეთ: მიუხედავმთ იმისა, რომ ჩვენი
ქვეყნის სათავეში სდგას სოცია-
ლისტური მთავრობა, ბევრგან
დიდ უსამართლობასა და ძალმომ-
რეობას აქვს ადგილი-თქო. შეიძლე-
ბა ბევრს ეს გადამეტებულად ეჩვე-
ნოს, მაგრამ ვისაც არ დაჰკარგვია
უნარი სინამდვილის გაგებისა და არ
დახშვია სინიდისის კარები, იგი
დაგვეთანხმება, რომ ჩვენში რევო-
ლიუციის ბედი დიდ განსაცდელშია.
საქმე მარტო იმაში კი არ არის,
რომ დღეს ერთი პარტია განაგებს
საქართველოს და თვისი ინტერესე-
ბის მიხედვით სწყვეტს ყველა საკითხს,
არამედ უფრო იმაში, რომ ბევრ
მართველს თავისი ზრახვების გასანაღ-
დებლად გაუხდია ესა თუ ის უწყე-
ბა, ან დაწესებულება. დღეს ნეპო-
ტიზმს, პირად ნაცნობობას უმთავ-
რესი მნიშვნელობა აქვს. გრიბოე-
დოვის ფამუსოვის არ იყოს: „ну как
не порадѣть родному человѣку!“
შეიძლება ითქვას თამამად, რომ სი-
მართლე საქართველოში მაშინ შეიძ-
ლება სიმართლედ იყოს, თუ რომე-
ლიმე „ძლიერი“ პიროვნება გფარვე-
ლობსთ. მაგრამ თუ უკანა კარებით
ვინმემ შეგასწროთ ხელისუფალთან
და თავისებურად ჩაულაპარაკა, შე-
გიძლიათ „დამშვიდებულად“ იაროთ,
თქვენსას აღარავინ გაიგონებს და
ბევრ ადგილას ეს ბოროტ-მსაჯულების სასწორიც საე-
სებით სხვა მხარეს გადაიხრება. ამაოდ
იშფოთებთ ამაოდ მიმართავთ სინი-
დისსა და პატიოსნებას, ყველაფერი
ეს დღეს მხოლოდ თავისიანებისა-
თვის არსებობს და არა ადამიანისა-
თვის. ჩვენ გულწრფელად ვაცხა-
დებთ, რომ გული გვტკივა, როდე-
საც „სოციალისტების“ ასეთ მოქმე-
დებას ვუცქერით. ჩვენ დღემდის
თავს ვიკავებდით. გვიყვარდა და
გვიყვარს ჩვენი ქვეყნის თავისუფლე-
ბა, მისი ბედი და მომავალი და ამი-
ტომაც ხშირად სიტყვას მართალს
გულში ვიკლავდით, მაგრამ დღეს
გაჩუმება არ შეგვიძლია, თუნდაც
ერთბაშად ამოძრავდეს ჩვენ წინააღმ-
დეგ ხელისუფალთა „აპარატი“, არ
გავჩუმდებით არა იმიტომ, რომ
ხელისუფალთა მდგომარეობა გვეხარ-
ებოდეს, როგორც ეს სჩვევიათ პო-
ლიტიკურ ჯგუფებს, და მათი გაბია-
წამოსკუპებას. ჩვენ კარგად ვიცით
ფასი და ღირებულება ყოველგვარი
რეჟიმისა, რომელსაც თავისი მცვე-
ლები და ჟანდარმები ჰყოლია და
ეყოლება, სანამ სახელმწიფოებრივი
ძალა-უფლება იარსებებს... არ გავ-
ჩუმდებით, რადგან თავს გვირჩევნია
ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, ხალ-
ხის კეთილდღეობა და, როდესაც ყვე-
ლაფერი ეს განსაცდელშია, ბუნე-
ბრივად ჩვენ მათ წინააღმდეგ მივ-
მართავთ სიტყვას, ვინც ამ მიზანს
სამარეს უთხრის. ჩვენი ქვეყნის თა-
ვისუფლება—ეს ხალხის არსებობის
გამოხატულებაა, და ისინი, ვინც მას
უდიდას განსაცდელს უმზადებენ,
ღირსი არ არიან შენდობისა და შე-
წყალებისა.

მაშინ, როდესაც მშრომელ ხალხს
თავისუფლად ვერ ამოუსუნთქავს და
ბინა თავშესაფარი ვერ უპოვია დღე-
ვანდელი სახლის-პატრონების წრეს-
გადასული თვით-ნებობის გამო, ტფი-
ლისის ქალაქის გამგეობა საყოველ-
თაოდ აცხადებს: რეკვიზიციის წე-
სით ბინები უნდა მიეცეს... დამფუ-
ძნებელი კრების წევრი და მაღალ
თანამდებობის პირთო“... როგორ?
ბინა და თავშესაფარი მარტო ამ
დიდ გვამებს სჭირდებათ? განა ის
საცოდავი დაწვრილშვილებული მო-
ხელე, ამ მუშა, რომელიც ქუჩაში
ეძებს ღამის გასათევს, ღირსი არ
არის, რომ ფუფუნებაში მყოფ პი-
რებს ზედ-მეტი ოთხები ჩამოერთვასთ
და მათ გად ეცესთ! არა, ბატონებო,
თუ თქვენ ხალხის ინტერესები გა-
ლაპარაკებთ და ხალხმა კი წამოგა-
სკუპათ მაღალი თანამდებობაზე, ნუ
დაიგიწყებთ თქვენს „უმცროსს“
ძმებს, სხვებზე უფრო გაჭირვებულებს
და კეთილ ინებეთ მათზე ზრუნვა.
დრო არის გამონახოთ მათვისაც
თავშესაფარი. თავი დაანებეთ ბურ-
ჟუაზიასთან არშიყობას, თორემ
ვერც მათ გულს მოიგებთ და ვერც
თქვენს პირდაპირ დანიშნულებას
შეასრულებთ...

ანაბაპტისტი.

სამართლიანი უკმაყოფილება და უილაჯო საყვედური.

დღეს საქართველოში ქარხნისა და
მიწის მუშას თუ შეეკითხებით დღევან-
დელ მდგომარეობაზე რასმეს, ყვე-
ლანი დიდ უკმაყოფილებას გამო-
სთქვამენ, დიდ ბრძოლის შედეგზე,
არც ერთს მუშას გულწრფელი ნდო-
ბა არ აქვს დღევანდელი მთავრობის
ყველას გასტეხია გული თავის წმინ-
დათა წმინდა პარტიაზე. ყველას
დაუკარგავს რწმენა პიროვნების
უმწიკვლეობისა და მის ყოვლად
ძლიერ შემოქმედებაზე.

ქართველ მიწის მუშას და ქალა-
ქისას ძალიან დაახლოვებით ვიცნობ
მისი საერთო ცხოვრების უკმაყოფი-
ლება წინათაც მინახავს, რომელსაც
თან ახლდა ძლიერი სურვილი ახლის
ძიებისა, მის უკმაყოფილებას პიროვ-
ნებისა თუ საზოგადოებისადმი წინა-
თაც გამიცვნიან, რომელსაც უპასუ-
ხებდით მრისხანე მუქარით და იმე-
დიაეი ძლევა ყოველგვარი დაბრკო-
ლებისა.

ასეთი იყო მისი დუღილი, მისი
ცეცხლიანი სიცოცხლე წინეთ, მაგ-
რამ დღეს ქართველ მშრომელ მასსა-
ში აჩრდილიც კი აღარ დარჩენილა
მებრძოლ შეუჯრეკელი სულის.

საკვირველია რას მოელოდა ქარ-
თველი მუშა უკეთეს დღევანდელ
მდგომარეობიდან და ვისგან ფიქრობ-
და უკეთესის შექმნას?

ქართველ მუშისათვის ნუ თუ სა-
ეჭვო უნდა იყოს ის მცნება რომ
მისი საქმის კეთებაში მას თავისი
კლასის მეტი სხვა ხელის შეშლის
მეტს არაფერს გაუკეთებდა? და
გუშინდელი მეთაურები პოლიტიკუ-
რი კარებთან გადაუხვევდენ და იმის
იქით არამც თუ მათი მეთაურობის
იმედი უნდა ქონოდა ქართველ მუ-
შას, არამედ უნდა სცოდნოდათ და
დღეიდან უნდა ჭეშმარიტათ ერთ-
ხელ და სამუდამოდ დაისწავლოს,
რომ გუშინდელი პოლიტიკური
მეთაურები პოლიტიკურ სიმეფოსა-
თვის იღვწოდენ და ჰპოვენ კიდეც.

ქართველ მშრომელ მასსის უკმავ
ყლფილება, უკმაყოფილებაა ბურჟუა-
ზიული ცხოვრების, მისი ეკონომიუ-
რი ბატონობის.

ქართველ მშრომელმა მასსამ თა-
ვისი უკმაყოფილების იდეია და იმე-
დი თავისი გიბედულ შემოქმედებაში
უნდა ეძიოს, მან უნდა გადასწყვი-
ტოს, რომ ის არ დაერიდება არა-
ვითარ ჯოჯოხეთურად ისტორიული
მოვლენას მუშათა დიდ მოძრაობისას
თვითონ ქართველი მუშაც ჩაერევა
წმინდა კლასიურ მიზნით, სადაც
დაუმტკიცებს პოლიტიკურ თიღლის-
მებს თავის დიდ სულობას, გამბე-
დაობას და შეგნებას ისტორიულ მოვ-
ლენისას.

ქართველმა მუშამ უნდა დაანე-
ბოს უილაჯო უკმაყოფილებას თავი
და უნდა იკისროს ის, რასაც მას
თავისმათავად აკისრებს დიდი რე-
ვოლიუციის კანონები.

ქართველ მუშათა მასსას უნდა
ახსოვდეს, მუშის გაბედულება და
მეტი ნდობა თავისი თავის, ნაკლები
ნდობა და იმედი სხვისა

მშვენიერი გეგმა უნაკლოდ მეთაუ-
რეთ მის პრაქტიკაში გამოყენება
რამდენ დამარცხებასაც ნახავს, იმ-
დენს ახლ გზას იპოვის, რამდენ
ახალ გზას იპოვის იმდენათ გაძ-
ლიერდება, გაიზრდება რევოლიუ-
ციონურად გამოცდილებით და შე-
მოქმედებით, რაც თავის და თავად
თავდები იქნება საბოლოო გამარჯვე-
ბის.

მაგ კვნესა-წუწუნი სხვისი იმედი
და უილაჯო უკმაყოფილება, შორს
საკუთარი იმედი და საკუდარი შე-
მოქმეფება. აი მოვალეობა და ის-
ტორიული დანაკისრი დღევანთელი
მშრომელი ხალხის.

მეთვალყურე.

ამხ. მასწავლებლების საყურადღებოთ.

„სახალხო საქმის“ ფურცლებზე
ამხ. ბ. ჭანიშვილმა საყურადღებო
წერილი მოათავსა, რომელშიაც იგი
მოუწოდებს სახალხო მასწავლებლებს
ერთი კავშირი შეჰქმნან, რომელსაც
მრავალი საპატიო და საყურაოღებო
მიზანი ექნება დასახული. ამ წერილ-
ში სხვათა შორის წესდების პროექ-
ტიცაა მოთავსებული. შეიძლება ეს
წესდება სავსებით მისაღები იყოს, ან
შეიძლება საჭირო შეიქნეს მასში
ზოგიერთი ცვლილების და შესწო-
რების შეტანა, მაგრამ ამ ჟამად მე
ეს არ მაინტერესებს. საქმე იმაში
გახლავსთ, რომ კავშირი, ჩემის აზ-
რით, უნდა შეჰქმნან არა მარტო
სახალხო მასწავლებლებმა, არამედ
საქართველოს ყველა ტიპის სკ[illegible]
ბის მასწავლებლებმა. რომელ[illegible]
ლაშიც არ უნდა ძოღვაწ[illegible]ოდეს
მასწავლებელი, დაბალსა თუ [illegible]ა-

ლოში, მათ საერთო ბევრი რამ აქვსთ და მათ შეთანხმებულ მუშაობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც სწავლა-განათლების სათანადო დაყენების, ისე თვით მასწავლებელთა უფლებრივ და ნივთიერი მდგომარეობის გამტკიცების საქმეში. მე სავსებით ვეთანხმები ამხ. ჭანიშვილს, როდესაც იგი მოუწოდებს ამხ. სახალხო მასწავლებელთ საჩქაროდ მოაწყონ კონგრესი. ჩემის მხრივ მივმართავ საშუალო სასწავლებელითა მასწავლებლებს და მოვუწოდებ, შეუთანხმდენ სახალხო მასწავლებლებს და მათთან ერთად მოიწვიონ კონგრესი. ჩვენ უნდა მოვსთხოვოთ კავშირის გამგეობას, დაუყოვნებლივ იზრუნოს ამ საქმის მოგვარებისათვის. ამისათვის კი საჭიროდ მიმაჩნია, რომ გამგეობამ დაუყოვნებლივ მოიწვიოს საშუალო სკოლის მასწავლებელთა საერთო კრება, რომელზედაც უნდა იქნას განხილული ეს საყურადღებო საკითხი.

ალ. წერეთელი

ფედერალისტების კონფერენციაზე.

ფედერალისტების კონფერენცია დასრულებულა. ჩვენ მოველოდით, რომ კონფერენცია ახალს რასმე შეიტანდა პარტიულ ცხოვრებაში, პარტიულ დაგუბებულ ცხოვრება? მსვლელობას მისცემდა და ჭაობს ნახევრად მაინც გასწმენდდა, თუ სავსებით არ დააშრობდა. კონფერენციის საქმიანობაზე ჩვენ მერე უფრო საფუძვლიანად მოვილაპარაკებთ; ანლა კი მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებაზე, რომელსაც ადგილი ქონდა კონფერენციაზე.

ქუთათურ ფედერალისტების ,,დიდმა ლიდერმა'' გრ. ლაღიძემ მოხსენება გაუკეთა კონფერენციას, რომ ,,პარტიის ზოგი წევრი, რომელიც პარტიიდან გავადა საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნების წინ (ეგრედ წოდებული მაშვრალები) სურვილს გამოსთქვამს პარტიაში დაბრუნებისა და კვლაე სდგას პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საფუძველზე—ამიტომ იგინი მიღებულ იყვნენ უკანვე პარტიაში''-ო, ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ასეთი განცხადების გაკეთება შეეძლო მხოლოდ გრ. ლაღიძეს, რომელიც საუცხოოდ ეგუება ხოლმე ყოველგვარ მდგომარეობას, ჩვენ მხოლოდ ვეჭვობთ რომელი მაშვრალი უნდა ყოფილიყო ასეთი განცხადებით შემსვლელი. მთავარი ღირსება რევოლიუციონურ სინდაკალიზმისა, რომლის მოძღვრებასაც ადგია მაშვრალთა ჯგუფი, არის მისი ,,შეურყეველი რწმენა, რომ მშრომელ კლასს შეუძლია გაინთავისუფლოს თავი ყოველგვარ ექსპლოატაციისგან, მხოლოდ თავის ძალღონით და იმ საშუალებებით, რომელსაც უჩვენებს სინდიკალისტური მოძღვრება. აღიარება იმ აზრისა, რომ ყოველგვარი საშუალებანი, რომელნიც მთავარ სამოქმედო მიზნათ გაუხდიათ აგრეთ წოდებულ პარლამენტარულ სოციალისტებს, სახელმწიფოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება, დეპუტატების სავარძლები საკანონმდებლო და თვითმართველობითი ორგანოებში, მხოლოდ უშლიან სოციალიზმის განხორციელებას, ხდის სინდიკალისტურ მოძღვრებას თვალწარმტაც მიმდინარეობად, რომელიც ეგზომ იზიდავს თავის წრეში პროლეტარულ მასსას. ნამდვილი პროლეტარი და მაშვრალთა მოინტერესე, თუ შეიგნო მან ეს ელემენტარული მოთხოვნილება სოციალურ ცხოვრების მიმდინარეობისა, შეურყეველი წევრი ხდება სინდიკალისტურ ჯგუფეაისა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ყველა ის, ვინც შეიგნო სიყალბე სოციალისტურ პარტიებისა მუშათა საკითხის ჯეროვანვნად დაცვაში ერთგული წევრია სინდიკალისტურ მოძრაობისა.

მაშვრალთა ჯგუფის ფედერალისტებიდან გამოყოფის მიზეზი სხვათა შორის იყო ის, რომ უკანასკნელები გადასცდენ სოციალისტურ გზას, მიავიწყდათ მშრომელთა მასსა და პორთფელ-დეპუტატობის ძიებაში პროგრამა-მინიმუმიც კი შეკვეცეს. ამის შემდეგ მაშვრალთა ჯგუფი თავის დღეში ვეღარ გაიზიარებს ,,პარტიის პროგრამასა და ტაქტიკას'', თუ ეს არ იქნება შეცვლილი პროლეტარულ მასსის ინტერესთა საკეთილდღეოთ.

რევ.-სინდიკალისტთა კავშირის მთავარ კომიტეტს არა აქვს არსაიდან ცნოსები ვითომ მის წევრების აზროვნებაში მომხდარიყოს რეგრესი და თუ ესეთები აღმოაჩინა მხოლოდ გრ. ლაღიძემ იგინი. ალბად მისივე ფერები იქნებიან.

როლანდი.

ჭიათურის ამხანაგებს.

ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი სალამი და აღტაცებული სურვილები, გაგვამხნევა და გაგვახარა თქვენმა ახალგაზდურმა გულწრფელმა სულისკვეთებამ ამხანაგებო! ეგრე გატაცებით და თავგანწირულად ემსახურეთ ჩვენს იდეალს და გრწამდესთ, რომ დიდსა და წმინდა საქმეს ემსახურებით.

მიიღეთ ჩვენი სალამიც.

მთავარი კომიტეტი,

ტაქტიკა.

ყოველი პარტია თუ კავშირი ხასიათდება და ისაზღვრება თავისი მსოფლმხედველობით.

ამიტომ, როდესაც რომელიმე ამათგანი არსდება, წინდაწინვე მუშავდება რაიმე გარკვეული და ლოგიკურად სწორედ აშენებული პრინციპები და ისახვის იდეალი.

ამ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად, მოსაწყობად და სახელმძღვანელოდ მუშავდება გარკვეული პროგრამა.

ეს პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურ ერთს და პარტიისა თუ კავშირისათვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უნდა იყოს.

თავის მხრივ, ამ პროგრამიდან ულმობელ ლოგიკის ძალითვე უნდა გამოდიოდეს აგრეთვე გარკვეული ტაქტიკა,

თუ პროგრამა თანამედროვე წყვდიადში გზას უნათებს პარტიას, ტაქტიკა სვლის რეალურად მოსახდენი, დაბრკოლებათა დასაძლევი იარაღია.

ტაქტიკა და პროგრამაც აგრეთვე რკინის ლოგიკით უნდა გამომდინარეობდნენ პარტიის უკანვირის მსოფლმხედველობიდან, და მასზე რკინის ჯაჭვით უნდა იყოს მიჯაჭვული. ვინაიდან მსოფლმხედველობა მუდამ ხსნის და განაგებს ტაქტიკას, მაგრამ ამასთანავე ის მუდამ პროგრესშია, ამიტომ იგი დამოკიდებული კი არ უნდა იყვეს მისგან, არამედ, პირიქით, პროგრამა—ტაქტიკა უნდა ეშორჩილებოდეს მას, რომ ყოველ ცვლილებას მსოფლმხედველობაში, ყოველ შეკეთებას, შესწორებას და შეგვსებას გამგე პრინციპებისას ახლდ ფაქტთა ზეგავლენით უნდა მოყვეს შესაფერი ცვლილებაგე პროგრამა და ტაქტიკაშიაც.

თანახმად ზემოთქმულისა ჩვენ, დამაარსებელთ ჩვენში ახალი კავშირისა, ცავიხსენეთ რა ჩვენი წმინდა იდეალი, ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პრინციპები და დავამუშავეთ ჩვენი მსოფლმხედველობა.

ამ თვალთახედვისისრით ჩვენ ანალიზი გაუკეთეთ თანამედროვე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესწყობილებას, გამოვარკვიეთ მასში ჩასახული ტენდენციები და ასე შევქმენით ჩვენი პროგრამა, ახლა ჯერი მიდგა ჩვენი ტაქტიკის დამომუშავებაზე.

ზემოაღნიშნულმა ანალიზმა თანამედროვე წესწყობილებისამ და გამორკვევამ მასში ჩასახულ ტენდენციებმა ჩვენთვის და ყველასათვის აშკარა და ცხადჰყვეს ჩვენი სოციალისტური ფიზიონომია და მსოფლმხედველობა, რომელიც ხასიათდება სამი უარეოთით და სამი დებულებით:

1) უარეოფა კერძო საკუთრებისა—1) აღიარება საკუთრებისა—კომუნიზმისა.

2) უარეოფა უფლება-კანონისა—2) აღიარება თავისუფალ შეთანხმებით თავისუფალ ხელშეკრულობისა.

3) უარეოფა სახელმწიფოსი—3) აღიარება თავისუფალ საზოგადოების—მწარმოებელ კომუნების და მათ ფედერაციათა.

ანალიზმა ისიც დაგვანახვა, რომ კერძო საკუთრებაზე დამყარებულ წესწყობილებაში დიდი ხანია სწარმოებს ულმობელი კლასთა ბრძოლა და ამ წესწყობილების გარდაქმნისათვის ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ რომელიმე კლასს, ამ მებრძოლ კლასთა შორის ჩვენ მხოლოდ ტანჯულ-ჩაგრულ და გაუკეთეფილი მაშვრალი ხალხი და პროლეტარიატი ვიცანით იმ კლასად, რომელსაც თვით თავის არსების ინტერესი აიძულებს იბრძოლოს არსებული წესწყობილების დასანგრევად და სოციალიზმ-კომუნიზმის დასამყარებლათ, რომლის განსახორციელებელ იარაღიც ჩვენ სოციალური ცვლილებაა ვაღვიარეთ. ყოველივე ეს კი საკმაოდ განმარტავს ჩვენი ტაქტიკის ანუ მოქმედების ხასიათს.

იდეალი, ორგანიზაცია, მოქმედება,—აი ელემენტები ჩვენი ტაქტიკისა. იდეალის გავრცელება ხალხში და მისი ძალად ქცევა, შექმნა ორგანიზაციებისა, რომლებიც უნდა გახდნენ ორგანად იდეალის განხორციელებისა და დაცვისა, ბრძოლა ორგანოში მოყვანილი ძალით ბრძოლა მეტიეი და გახუწყვეტელი იდეალის ფაქტად გარდაქმნისათვის. ეს შეადგენს ჩვენს საზრუნავს და ეს წარმოადგენს რამოდენიმე სიტყვით საზოგადო ხასიათს ჩვენი ტაქტიკისას.

ყოველი ნამდვილი მებრძოლი სოციალისტი თავის პრაქტიკულ მოქმედებაში უნდა ემყარებოდეს ორ ფაქტზე:

პირველი.—კლასთა ბრძოლა და შეურიგებლობა და შეუძლებლობა კვეშრისა მოწინააღმდეგე კლასთა შორის.

მეორე, არასოდეს და არსად ბრიგადელებისა მქონე კლასებს თავისი ნებით არ უთქვამთ უარი თავიანთ ბრიგადელებზე.

თუმცაღა ყოველი ჯერის ,,სოციალისტებს'' თავიანთი თავი კლასთა ბრძოლის მომხრეთ მოაქვთ, და სახავენ, მაგრამ მათი სოციალისტ-მინიმალისტ-პარლამენტარისტული პროგრამები არ არის სოციალისტური, რადგან მათი რეფორმათა კრებული სრულიად ურიგდება არსებას და ხშირად იცავს ინტერესებსაც კაპიტალისტური წესწყობილებისას. არც მოქმედებაა მათი რევოლიუციონური, რადგან პარლამენტარისტულია. პარლამენტი კი, როგორც ვიცით, კაბატონებული კლასის ქმნილებაა და ის განაგებს მას. პარლამენტი კლასთა ბრძოლის ნიადაგი კი არა კლასთა მოდაპარაკება-მორიგების ნიადაგია, პროლეტარიატს კი ბურჟუაზიასთან არაფერი საერთო და მოსარიგებელი არა აქვს, რადგანაც ერთის არსებობა მეორის უარეოფაა, მაშასადამე ერთის მოქმედებაც მეორის მოქმედების უარისყოფა უნდა იყვეს და ან ერთი უნდა გაქრეს მომავლის ისტორიიდან ან მეორე. სოციალიზმის განხორციელებისთვის თუ მისთვის მოემზადებისთვისაც პარლამენტს არამც თუ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არამედ მუშათა კლასისათვის იმ ხიფათსაც კი წარმოადგენს, რადგან ეს აძლიერებს სახელმწიფოსა და კანონისადმი ფეტიშიზმს და მით სარეგოლიუციო სულსაც ასუსტებს და ჭკვავს.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი სახსარი მაშვრალი ხალხის ყოველ დღიურ ბრძოლისა დახასიათებული უნდა იყოს ორი ღირსებით:

1) ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კლასიურ თვითშეგნების განვითარებას და თან მნიშვნელოვანი უნდა იყოს მაშვრალთა სარეგოლიუციო აღზრდის მხრივ.

2) მის სმარებას კიდევ მართლა და უნდა ჰქონდეს რაიმე თვალსაჩინო და მარგებელი შედეგი.

არც ერთი და არც მეორე ამ ღირსებათანი კი პარლამენტარიზმის არ გააჩნია; მუშათათვის მის სარეკოლიუციო სახსრობას ჩვენ არ ვცნობთ, რადგანაც მისი პრაქტიკული უვარგისობა დიდი ხნის ცდისა და გამოცდილებით დამტკიცებულია. ჩვენ არა გვწამს რა თავისუფლების იმ გარანტიისა, რომელსაც სხვადასხვა ბურჟუაზიული კონსტიტუციებს სწერენ ქალალდზე. მუშათა კლასის უფლებათა და თავისუფლების გარანტიათ ჩვენ მიგვაჩნია მხოლოდ თვით საშუალთა კლასის რეალური ძალა, მისი ცოცხალი ან მომქმედი ორგანიზაციები და მათი ბერდაბერი მოქმედება, რომელნიც სრულიად აკმაყოფილებენ ტაქტიკის ზემოთ ვონიშნულ ორ სახელმძღვანელო პრინციპებს. საკეთესო სვლად რევოლიუციისა ჩვენ მიგვაჩნია: თვით სარეგოლიუციო ბრძოლა, რადგან ასეთ ბრძოლაში ირკვევა თვითშეგნება ტანჯულთა კოსისა, ამ ბრძოლაში იდესება მისი ტანჯვის დოდეა და ამ ბრძოლით უკეთ ეხმარება ის თავის მტერსა და მოკეთესა.

თუ სადმე [illegible] არსებობს ცალკა [illegible] ეს იმის წყალ[illegible] რომ ასეთი იყო სურვილი პარლამენტისა, არამედ იმიტომ რომ იქაურმა მეტის სარეგოლიუციო აღზრდის მქონე მუშათა კლასმა ეს რეფორმები თავის ბერდაბერ ბრძოლით თვით მოიგო. ასეთ რეფორმების ისტორია აშკარად გვიმტკიცებს, რომ ყოველი გაუმჯობესება მუშათა კლასმა ყოველთვის და ყოველგან თავის ბერდაბერ სარეგოლიუციო ბრძოლით უნდა მოიგოს; ბურჟუაზია და მისი პარლამენტი ამას მხოლოდ მაშინ აკანონებს, როცა ის ფაქტად გადაქცეულ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ ყველგან, სადაც მუშათა ორგანიზაციებს თვით არ შეუძლიანთ მათი მონაპოვარი პოლიტიკურ ინტერესების დაცვა—ბურჟუაზია ყოველდღიურად არღვევს მას, ჩვენ მუშებს პარლამენტარიზმზე არასოდეს არ უჩვენებია და არ ურჩევია.

ყველა კლასს თავის თავისუფლების ორგანო და სახსარი ქონდა ყოველთვის და აქვს ახლაც.

პარლამენტი ბურჟუაზიის ორგანოა და ამიტომ მუშათა კლასი აერ დაიგება მის ნიადაგზე. მუშათა კლასის ორგანო მისი პროფესიონალური ორგანიზაციები—სინდიკატები, რომლებშიაც თავი უნდა მოიყარონ მწარმოებელ მუშებმა, რომელნიც უნდა გახდენ შრომის ინარდად კაპიტალის წინააღმდეგ და რომელთაც ბოლოს და ბოლოს უნდა წირმოადგინონ ორგანოში მოყვანილი მთელი მუშათა კლასი. აი ამ ორგანიზაციებს და მათ პირდაპირ მოქმედებას უნდა დაემყაროს მუშათა კლასი. დიდი ხნის გამოცდილებამ პარლამენტარიზმის შესახებ ისეთი რწმენა შეგვძინა, რომ ჩვენ ყველგან ყოველთვის და ყველას სოფლისა და ქალაქის მაშვრალ ხალხს იმას ვეუბნებით და ცრმევთ, რომ ნუ გაქვთ იმედი და ნდობა სახელმწიფო დაწესებულებათა ნუ გამოელით თქვენ სიკეთესა და ხსნას სხვისაგან. ნუ ხარჯავთ თქვენ ძალას და ენერგიას უნაყოფოდ პარლამენტარიზმის უნაყოფო ნიადაგზე, ნუ ხარ შეურიგებელი კანონისა და სახელმწიფოს ფეტიშიზმით. გამოერკვიეთ ძალისაგან შეიგნეთ თქვენი ძალა, მოიკრიბეთ ის ორგანოში, მიეცით მას ხელმძღვანელად შეგნება, იმოქმედეთ გაშალულად, ბერდაბერ, უშუალოდ და ეფექტურად. შეიგნეთ რომ მხოლოდ თქვენი საკუთარი ძალა, თქვენი საკუთარი შეგნებით ხელმძღვანელი თუ მოგიმოვებს თავისუფლებას და კეთილდღეობას, ოღონდ თქვენი მხსნელი სხვა არავინ არის. გახსოვდეთ, რომ თავისუფლებას და კეთილდღეობა სადღესასწაულო საჩუქარი არ არის, მას ნებით არავინ მოგვრომეგთ და კალთაში არ ჩაგიგდებთ. ის ყოველგვარ სახელმწიფოებში, როგორც მონარქიებში, აგრეთვე რესპუბლიკებშიაც, მხოლოდ გაბედული და თავდადებული ბერდაბერი მოქმედებით, ესე იგი სარეგოლიუციო ბრძოლით მოიპოვების.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელს ქუჩაში.

ვნახე ქუჩავ! ბნელს კუთხეში,
იდგა კაცი თოფით ხელში,
მსხვერპლს უცდიდა ავაზაკი
რომ მოერტყა ტყვია მკერდში.

მისთვის ყველა ერთი იყო;
მოხუცი თუ ახალგაზრდა
არაფერი არ ახსოვდა,
ოქრო-ვერცხლის, ფულის გარდა,

ვკითხე ქუჩას. კაცი რომ მგლად
გიქცევია, ვითომ რაა?
მან მომიგო: არ მაქვს ბრალი
ამნაირვე ცხოვრებაა.

ვნახე ქუჩავ! ვიღაც კაცი,
დავდახრილი დადიოდა,
ჯაშუშობის ყურს უგდებდა,
თუ ვინ რას სჩადიოდა.

ცოცხი იყო ავაზაკი
ბნელეთის მცველს სცემდა თაყვანს,
ძმის გაყიდვა, ძმის ღალატი,
შეადგენდა იმის საგანს.

ვკითხე ქუჩას, რომ ეს კაცი
გავიხრწნია ვითომ რაა?
მან მომიგო: არ მაქვს ბრალი
ამნაშავე ცხოვრებაა.

ვნახე ქუჩავ! ვიღაც ქალი
თვალ მიხდილი, ფერ მიმკრთალი,
გაგლეჯილი, დაფლეთილი,
სარდაფის წინ იდგა მთვრალი.

ვკითხე ქუჩას, რომ ეს ქალი,
მთლად მოგიკლავს, ვითომ რაა?
მან მომიგო: არ მაქვს ბრალი,
ამნაშავე ცხოვრებაა.

აბესალომ თენეიშვილი.

ჩვენი ფიქრები.

ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

სხვადასხვა იარაღს ხმარობს ბურჟუაზია პროლეტარიატის ხმის ჩასაწყვეტათ, სხვადასხვა ბორკილებს სჭედავს, რომ შეაკავოს მისი წინსვლა, რომ ისევ ისე თავისუფლათ იფარფაშოს მის ზურგზე. სადაც ხმალი უჭრის, იქ ხმალს ხმარობს, სადაც ენა, იქ ენას, სადაც ფული, იქ ფულს და სხვ. „მოკავშირეები ქვეყნიერებაზე წეს-რიგს ამყარებენ, საქართველოც ხომ ქვეყნიერების ერთი ნაწილია და აქაც ამყარებენ წესიერებას.

არსებულ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლები მშიერ ხალხს პურს ურიგებენ, შეეცოდათ და შეებრალათ გაჭირვებული მუშები, ნუთუ ასეთი ლმობიერი გამოდგა ბურჟუაზია? თუ ჩვენ ობიექტიური თვალსაზრისით დაუკვირდებით მათ მოსაზრებას, სულ სხვას დავინახავთ, სრულებითაც არ ილევა მათში სიბრალულის ნაპერწკალი. ზევით აღვნიშნე, რომ სადაც რა უჭრის ბურჟუაზიას, იქ მას ხმარობს, და სხვათა შორის აღვნიშნე, რომ ზოგჯერ ფულსაც ატანს ძალას-თქო.

დიაღ, იმათ პური დაურიგეს სხვადასხვა ქვეყნის მშიერ ხალხს, რომ აქაც არ ეჩინა თავი ისე, როგორც რუსეთში და უნგრეთში პროლეტარულ მოძრაობას თავი და დროებით მაინც ჩაეჩუმებინათ ის.

ამით ბურჟუაზია თანდათან მაგრდება თავის ტახტზე და მტკიცდება თავის პოზიციაზე, იმ იმედით, რომ შემდეგ უფრო თავისუფლათ ჩასცეს პროლეტარიატს გულში თავის მძიმე მახვილი, მხოლოთ აქა-იქ ატარებს თავის „მელურ" პოლიტიკას. გაუშვა თავისუფლათ შავი გენერალი დენიკინი, რომ ჩაექრო რუსეთის თავისუფლება და დაემყარებია ამიერ-კავკასიაშიაც ბურჟუაზიული „თავისუფლება.

გადაყენა უნგრეთის საბჭოთა მთავრობაც.

ასე იბრძვის ბურჟუაზია პროლეტარიატის წინააღმდეგ. ჩვენში რას აკეთებს მერე მენშევიკების მთავრობა?

იგი სრულებით არ ფიქრობს საქართველოს ბედ-იღბალზე და საქართველოს პროლეტარიატზე.

თავის თავად ცხადია, ბურჟუაზია შინაური მიზნების მიღწევას ლამობს მაგრამ კითხვა ისმება: შერჩება თუ არა ეს ბატონობა მას? რასაკვირველია; რომ არა, ვის ან რას შეუძლია შეაჩეროს პროლეტარიატის მსვლელობა სოციალიზმისკენ? ვერავითარ ძალას! ვაი იმათ ვინც დღეს პროლეტარიატს ხელს უშლის და ამავე დროს სოციალისტის სამოსელში გახვეულა!

დიაღ, არ ჩაქრება პროლეტარიატის ხმა და დღესაც თავგანწირულად იბრძვის იგი. მაშ შემოკრბით, მუშა-მაშვრალნო, ამ ბრძოლის გარშემო და სიცოცხლე შევსწიროთ შრომის განთავისუფლებას!

მიშა ჭიათურელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ცეცხლი გროზნაში

სამწუხარო ამბავი მოხდა გროზნაში, რაც ალბად მთელ ნავთის მრეწველობას დაეტყობა: 20 სექტემბერს, ღამით ცეცხლი გაუჩნდა ვლადიკავკ, რკ. გზ. ორ სავსე რეზერვუარს, დილით კი ცეცხლი მოედო ყველა 15 რეზერვუარს, სადაც ჩადიოდა 4 მილიონ ფუთზე მეტი ნავთი, ვლად, საზ.—ბის ნავთის გადასაზიდ ქარხანას საფრთხე მოელოდა. ქარხნის ტერიტორიაზე უკვე დაიწვა ყველა ბაკები, სადაც აუარებელი ნავთი და ბენზინი ჩადიოდა. ქარხანა გადარჩა, მაგრამ ვერ იმუშავებს. დაიწვა აგრეთვე 300 ცისტერნზე მეტი, რომელიც იქვე იყო. მაგრამ საკმაო რიცხვი ცისტერნებისა, როგორც სავსე, ისე ცალიერი, გადარჩენილ იქნა და გზა სადგ. ალდამდე ცისტერნებით არის სავსე. ზარალი უდრის ათეულ მილიონებს.

დაღესტნის აჯანყების გარშემო.

ბაქოში ჩასულმა მთიელ ხალხთა მეჯლისის დელეგაციამ 30 სექტემბერს ინახულა იქ მყოფი მისტერ ოლ. უორდროპი და ხანგრძლივად ესაუბრა მას კავკასიის მთიელთა მდგომარეობის შესახებ. მეჯლისის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ კავკასიის დასაწყნარებლად აუცილებლივ საჭიროა, რომ მოხალისენი გავიდნენ მთიელთა რესპუბლიკის საზღვრებიდან და დასცალონ მთის ხალხთა მთელი ტერიტორია.

მისტერ უორდროპმა სთხოვა დელეგაციას წერილობით წარუდგინოს მთავარი დებულებანი, რაც დელეგაციამ უკვე შეასრულა.

აისი.

ვარსკვლავთა ჯარი მწყობრად სცურავს ცის წიაღში,
ცა მოწმენდილია... ლაჟვარდოვანს იმის გუმბათზე
შავი ლანდები დარაჯობენ ქურდულ ღამეში,
მოძრაობაა უცნაური თვით სამყაროზე.

თეთრი გედები თვალ-წარმტაცად ჩამწკრივებულან,
და ლურჯს ეთერში დასავლეთით მსწრაფლ მიფრინვენ,
ერთი-მეორეს უყივიან... აჩქარებულან,
აპობენ ჰაერს ფრთა-გაშლილნი და გზას იკვლევენ.

გედთა ყივილზე აისის ჟამს ყველა იღვიძებს,
თან ახლოვდება სადაც არის დილის რიჟრაჟი,
შავი ფიქრი გარს მეხვევა, აღარ მასვენებს,
შევნატრი გედებს... ვიღრიჯები, როგორც გიჟმაჟი.

გაქრა წყვდიადი, ბინდი ღამის ილევა, ქრება,
ცა მოწმენდილი ჯადოსნურად დაყურებს არეს,
ჩუმი ნიავი დასისინებს, ეამბორება
მდუმარე მდელოს, ტყეს, მინდორ-ველს და კეკლუც მხარეს!

1918 წელი,
26 გიორგობისთვე

ი. ძირულისპირელი.

მთა მეტად საჭიროებს საექიმო სასანიტარო დახმარებას. მთიელთა რესპუბლიკის ყოფილ საექიმო სასანიტარო ინსპექტორს ურუსოვს მეჯლისმა დაავალა მოაწყოს საექიმო სასანიტარო საქმე მთაში.

პეტროვსკი ისევ მოხალისეთა ხელშია. მთიელები იქ ძალებს აგროვებენ, რომ ახალი შეტევა დაიწყონ.
(„ისკრა").

კასპიის იქითა მხარეში.

კრასნოვოდსკიდან ჩამოსულები ამბობენ, რომ სამხედრო სიტუაცია ისევ ბოლშევიკების მხარეზე გადაიხარა. ინციატივა კვლავ ბოლშევიკების ხელშია. ისინი უტევენ მოხალისეთა ნაწილებს და ავიწროვებენ მათ. ფრონტი მიუახლოვდა კიზილ-არვატს.

ამერიკა და ადერბეჯანი.

ტფილისში მყოფი ამერიკის საკონსულო, რომლის ფუნქციები ადერბეიჯანზედაც ვრცელდება, საგარეო საქმეთა მინისტრის საშუალებით სთხოვს ადერბეიჯანის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროა შეატყობინოს მას, თუ რა საქონლის გაზიდვა შეიძლება ადერბეიჯანიდან და რანაირ საქონლის მოთხოვნილებაა ადერბეიჯანის რესპუბლიკაში, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნეს ამერიკიდან.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. კუპუხიძეს ქუთაისში. გამოგზავნეთ.

ამხ. გ. ჯვარიშვილს. მოკლე დროში მიიღებთ ჩვენს წერილს.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას.

ამხანაგებო! უკვე განვლო წუთიერი გატაცების და აღფრთოვანების ხანამ. ეხლა აღარ არის დრო მერყეობის და ცდის. საქართველომ უკვე სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა. სიტყვა დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრებისა.

საქართველოს მშრომელი ხალხი კი კვლავინდებურად, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოურკვევლობის ბურუსით არი მოცული. თვისი შეგნებლობით გამხდარა საძიგი, თვალი ჯურის, სოციალისტურ მანტიით, მოცულ ინტელიგენციისა და ითენთება ეისი კლასიური მუშური თვითშეგნება. ნიავდება და იფანტება მწყობრი რაზმი საერთაშორისო დემოკრატიისა, რომლის ერთ მწკრივში ქართველთა სახეები გამოიკრთობიან. ამხანაგებო! თქვენ,—მომავალ თაობას, უკეთ უნდა გესმოდეთ ის იდუმლობით მოცული, აღმოკვნესა. რაიც აქა-იქ გაისმის მაშვრალთა წრეში, მისი შებოჭვის და დამონების გამო. სამართველოს მშრომელთა ხმა მისწყდა. ჩაქრა ის, ცეცხლით აღსავსე, რევოლიუციონური წრეები, მშრომელთა მასსისა და მის ნაცვლად თანამედროვე, პოლიტიკურ კითხვებში გზა აბნეულ, წინანდელი მუშის აჩრდილს თუ შეხვდებით მხოლოდ. და რევოლიუციონური სინდიკალიზმი კი მიზნად ისახავს კვლავ შეკრიბოს ერთ რაზმში დასახიჩრებული, დანაწილებული მშრომელთა მწკრივები. საქართველოს რევოლიუციონური სინდიკალიზმი ისახავს ააგიზგიზოს ჩამქრალი კერა მშრომელთა და თქვენიც ამხანაგებო? მოვალეობაა დაეხმაროთ მას ამ წმინდა და სპეტაკ საქმეში. თქვენც, თქვენი ახალგაზრდული ენერგია უნდა დასდოთ მებრძოლთა სამსხვერპლოზე. თქვენ უნდა მიუთითოთ გზა აბნეულ მშრომელთ ჭეშმარიტ გზისკენ. თქვენ უნდა მევლინოთ ბნელეთში მყოფ ან ათობილ ვარსკვლავათ, ლამპარათ თქვენ პირველი უნდა უჩვენოთ მაგალითი. ამხანაგებო! დროა ჩამოშორდეთ ავანტიურისტულ [illegible] და შეუერთდეთ რევოლიუციონურ სინდიკალიზმს. დროა მოუძებნოთ მშრომელს უმოკლესი გზა და ახალ, სპეტაკ მომავლისაკენ გაუძღვეთ, ახალი იდეებით, ახალი სხივებით გაბრწყინებულნი —სოციალიზმის მშვიდ ნავთსაყუდლისაკენ. ამხანაგებო! შეკავშირდით, დაარსეთ თქვენი წრეები. რევოლიუციონური სინდიკალიზმი თქვენი საუკეთესო ზრახვათა გამომხატველია. თქვენი კავშირები კი მისი პირმშო შვილები იქნებიან.

ამხანაგებო! დაყოვნება შეუძლებელია. დროა! დრო! ჩაებათ მშრომელთა სამსახურის მძიმე მოვალეობაში. ამას ითხოვს თქვენგან საყვარელი სამშობლო, დაჩაგრული მშრომელი მასსა, თვით თქვენი ინტერესებიც, ამ მოწოდებით მოგმართავთ ჩვენც საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას: დროა გამოფხიზლდეთ, თავისუფალი მხარე თქვენ შემოგყურებთ.

მოწაფე ა. ბ—ძე

ქ. ხაშური.
1919 წ. 27 სექტემბერი.

სოფლად

(ზოგადი შთაბეჭდილებანი)

5.

რამდენიმე ათეული წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყო მოქმედება ევროპიულ ცნებით შეიარაღებულმა სოციალ-დემოკრატიამ და უნდა ითქვას მართალი პირველ ხანებში დიდი გავლენა მოიპოვა და გამოიწვია რყევა ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში. უკანასკნელ საუკუნოებში საქართველო მოწყვეტილი დასავლეთს—იძულებოდა აღმოსავლეთის ველურ ურდოებით. ერთად ერთი სასიცოცხლო კითხვა ჩვენ წინაპართათვის მხოლოდ ტერიტორიალურ საქართველოს გარშემო ტრიალებდა. მხოლოდ ფარხმალი იყო ქართველი ხალხის საარსებო სახსარი და იმდენად დავეცით კულტურულად, რომ ბარბაროსულ რუსეთის განათლებით ვიკვებებოდით. მაშინ როცა ცენტრალურ იმპერიაში გაჩაღებული იყო ძლიერი რევოლიუციონური ცეცხლი, რუსეთის ხალხის გონებაში იხატებოდა ახალი, ფერად-ფერადი იდეები, საქართველოში აჯანყებას ახდენდენ ბაგრატიონთა დინასტიის აღსადგენათ. მე-19 საუკუნე ჩვენი დაცემის, გათახსირების ხანაა—რუსეთში სწორედ ეს ეპოქა ითვლება ახალი თავისუფალი წინამორბედის მოციქულად. მე-19 საუკუნე დაუშრეტელი წყაროა განმათავისუფლებელ მოძრაობის, რუსეთის სულიერად გამობრძმედის, ამაღლების ხანაა.

ჩვენ კი რუსეთიდან ვღებულობდით კულტურის საკენკს, მაგრამ იმასაც დამახინჯებულს; „ქართველურად", შეკვეთებულს. და აი სწორედ ამ ჩვენი დაცემის და გადაგვარების ჯვარედინზე აღმოცენდა მესამე დასი, რომელმაც საქართველოში ბირველად აღმართა ძლევამოსილი დროშა თავისუფლებისა, რომელსაც სწადდა საქართველოში გადმონერგა ევროპიული კულტურა, რომ საქართველოც შემდგარიყო

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՄԱՆԱԿԱՎՈՐՈՒՄԸ

27 IX

Թիվ 2.

Դպրոցական Գիրքերի.

Ինչպես գրում է Ռուսական Գրքի Ընկերությունը, ազգային դպրոցների համար գրքերի պատվերները ամենաքիչն են եղել։ Ամենաշատը պատվերներ են եղել Ռուսերեն գրքերի համար։ Ինչպես գրում է Ռուսական Գրքի Ընկերությունը, ազգային դպրոցներում ռուսերեն գրքերի պատվերները ամենաշատն են եղել